

შმიდტი გერმანიის წინააღმდეგ

Detlef-Harro Schmidt against Germany

(განაცხადი N32352/02; 05.01.2006)

მოცემულ საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ ბრძანების საფუძველზე მისთვის სისხლის და ნერწყვის ანალიზის აღება კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედება იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ გამოყენებულ ღონისძიებას უნდა მიეღწია სიმწვავის გარკვეული მინიმალური ხარისხისთვის, რათა იგი დაკვალიფიცირებულიყო, როგორც არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა.

თუმცა, სასამართლომ განაცხადა, რომ მისი უფლებამოსილება მოიცავს აპლიკანტის მიერ დასმული სადავო საკითხების განხილვას კონვენციის მთელი არსობრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სასამართლო თავისი საქმიანობის განხორციელებისას, თავისუფალია საქმის ფაქტობრივი გარემოებები მიუსადაგოს ის სამართლებრივი ნორმები, რომელიც მომჩივნის მიერ მითითებულისგან განსხვავდება.

შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე პირველ რიგში უნდა განხილულიყო კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე:

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, რომელიც კონვენციის მე-8 მუხლითაა დაცული, მოიცავს პირის ფიზიკური მთლიანობის პატივისცემის უფლებას. აპლიკანტისგან სისხლისა და ნერწყვის ანალიზის აღება წარმოადგენს სავალდებულო სამედიცინო ჩარევას, რომელიც, იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი მცირე მნიშვნელობისაა, მიჩნეულ უნდა იქნეს მის პირად სფეროში ჩარევად.

ასეთი ჩარევა წარმოშობს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის შემთხვევას, თუ არ იქნება ცხადი, რომ იგი „კანონით იყო გათვალისწინებული“, ემსახურებოდა ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმურ მიზანს ან მიზნებს და „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

სასამართლო აღნიშნავს, რომ აპლიკანტის უფლებებში ჩარევა განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, რომელიც ლაკონური და ყველასთვის ხელმისაწვდომი დებულებაა. მოცემულ საქმეში, ნიმუშის აღება მოხდა განსჯადი სასამართლოს განჩინების საფუძველზე, რომელიც ზემოთ აღნიშნული დებულების შესაბამისი იყო. გარდა ამისა, ნიმუში აღებულ იქნა ექიმის მიერ. აპლიკანტს არ განუცხადებია, რომ ნიმუშის აღება არაკანონიერად მოხდა ან მის ჯანმრთელობას აზიანებდა. შესაბამისად, სადავო ღონისძიება კანონის შესაბამისი იყო.

სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ სისხლის და ნერწყვის ანალიზის აღება განჩინებით იყო ნებადართული, რადგან განსაზღვრულიყო აპლიკანტის ბრალეულობა სისხლის სამართლის დანაშაულში. აღნიშნული დანაშაული, რომელიც უკავშირდებოდა მესამე პირის ცრუ ბრალეულობას, თაღლითობას და ცილისწამებას, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე მძიმე დანაშაულს წარმოადგენდა და დაკავშირებული იყო თურქ ოჯახზე განხორციელებული ფატალური თავდასხმის გამოძიებასთან, რამაც ფართო საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. შესაბამისად, განჩინება ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა, კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მიზნებს.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს უნდა განესაზღვრა დაცული იყო თუ არა სამართლიანი ბალანსი პირის პირადი ცხოვრების დაცვის ფუნდამენტურ უფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესს შორის - დაეცვა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება და დაესაჯა სისხლის სამართლის დამნაშავე პირები. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფო ორგანოები სარგებლობენ გარკვეული შეფასების ზღვარით იმის განსაზღვრისას, წარმოადგენს თუ არა მოცემული ჩარევა პროპორციულ ზომას დასახულ მიზანთან მიმართებით, ანუ, არსებობს თუ არა პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადად სისხლის ანალიზის აღება, როცა იგი ექიმის მიერ კანონიერად და მცირე დროში ხორციელდება, იწვევს უმნიშვნელო სხეულებრივ დაზიანებას და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ინტენსიური და მწვავე ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის გამოძწევად. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის ა) ქვეპუნქტი უზრუნველყოფს სხვადასხვა გარანტიებს სისხლის ანალიზის აღების ან გამოყენების თვითნებური ან არასათანადო პრაქტიკისგან. აპლიკანტს არ განუცხადებია, რომ ნიმუში აღებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, გადაჭარბებული ძალა იქნა გამოყენებული ან ნიმუშის აღება ექიმის მიერ არ მომხდარა.

სასამართლო შემდგომში აღიარებს, რომ სისხლის ანალიზის აღება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ზოგადად აღიარებული და მიღებული პროცესუალური მოქმედებაა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობაში. მაგალითად, რათა, განისაზღვროს საგზაო

მომრაობის შეფერხების და საცობის გამომწვევი პირების სისხლში არსებული ალკოჰოლის დონე.

მოცემულ საქმეში, აპლიკანტის სისხლის და ნერწყვის ანალიზის აღება საჭირო იყო იმის განსასაზღვრავად, იყო თუ არა აპლიკანტი იმ წერილის ავტორი, რომელიც თავისთავად სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენდა. შედეგად, დადგინდებოდა მისი ბრალეულობა აღნიშნულ დანაშაულში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა სხვა დამატებითი მტკიცებულებები, გერმანიის სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე, აპლიკანტის ქცევის გათვალისწინებით - კერძოდ, მისი აღიარების უკუგდებით - საჭირო იყო რაც შეიძლება ბევრი მტკიცებულების შეგროვება. ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე აღნიშნეს, რომ წერილის გაყალბება იყო განსაკუთრებით მძიმე ქმედება, რადგან მესამე პირის დადანაშაულება 5 პირის მკვლელობაში მემარჯვენე ექსტრემისტული თავდასხმის დროს ამართლებდა სისხლის ანალიზის აღების მეთოდს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ დისკრეციის გარკვეული ზღვართან ამ საკითხში, სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ გამოყენებული მეთოდი არაპროპორციული იყო. შესაბამისად, მოცემული საჩივარი უარყოფილი უნდა იქნას, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების მიხედვით.

განმცხადებელი ასევე ჩიოდა კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, რომ მას არ მოუსმინეს სისხლის ანალიზის აღებამდე და გამოკვლევამდე, რომელიც თიერგართენის რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე განხორციელდა. აპლიკანტმა მოიხმო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „...წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...“.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ღონისძიება გამოყენებული იყო წინასწარი გამოძიების ეტაპზე, რათა მტკიცებულებები მოგროვებულიყო. მომჩივნის წინააღმდეგ არც ერთი ფორმალური სისხლის სამართლებრივი ბრალდება არ იყო წარდგენილი იმ დროს, როცა ნიმუშის აღება განჩინებით იქნა დადგენილი. თუ, ნიმუში სხვა შედეგს აჩვენებდა, მაშინ განმცხადებელი გათავისუფლდებოდა. შედეგად, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი ბრალდება არ იქნებოდა წარდგენილი. ნებისმიერ შემთხვევაში, კონვენციის მე-6 მუხლი არ ავალდებულებს სასამართლოს მოუსმინოს ბრალდებულს სისხლის ანალიზის აღების შესახებ განჩინების გამოტანამდე. სასამართლო შემდგომში ადგენს, რომ მოცემული განჩინება არ არღვევდა მომჩივნის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებას, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფითაა უზრუნველყოფილი. საკუთარი თავის

წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლება პირველ რიგში ეხება ბრალდებული პირის ნების პატივისცემას, გამოიყენოს დუმილის უფლება. თუმცა, აღნიშნული არ ვრცელდება სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების მიმართ, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს ბრალდებულისგან იძულების გზით, მაგრამ რომელიც ბრალდებულის ნების მიუხედავად არსებობს, მაგალითად - სისხლის ნიმუში.

შესაბამისად, საჩივარი უარყოფილი იქნა აშკარად დაუსაბუთებლობის მოტივით, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით. შესაბამისად, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ საჩივარი დაუშვებელი იყო.